საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 23 მაისის №25 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

**d a d g e n i l e b a №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის (მდებარე, თბილისი, სანდრო ეულის ქ. #5) რეაბილიტაციის დროს, სარემონტო სამუშაოებისას დემონტირებული, 160 ტ. შავი ლითონის ჯართის უნივერსიტეტის ბალანსიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოწერისა და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის (მდებარე, თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5) რეაბილიტაციის დროს, სარემონტო სამუშაოებისას დემონტირებული ლითონის ფანჯრების, წყალ-კანალიზაციის სისტემის, გათბობის სისტემის, სავენტილაციო და ამწოვი სისტემების, როგორც უნივერსიტეტისათვის გამოუსადეგარი მეორადი მასალის, 160 ტ. შავი ლითონის ჯართის უნივერსიტეტის ბალანსიდან ჩამოწერისა და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემის შესახებ, როგორც საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ქონების.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე